დანართი №1

განცხადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.

2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის 3 მაისს 10:00 საათიდან, მისამართზე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატობის პრეტენდენტთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 13 მაისის 18:00 საათი.

4. აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების შეფასება განხორციელდეს 2 ეტაპად:

ა) დოკუმენტური მონაცემების შეფასება - 2016 წლის 16 მაისიდან არა უგვიანეს 20 მაისისა;

ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება - 2016 წლის 30 მაისიდან არა უგვიანეს 3 ივნისისა.

5. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 10 ივნისი.

6. პრეტენდენტი უნდა იყოს:

ა) უმაღლესი განათლების მქონე;

ბ) ფინანსური ან/და მატერიალური ან/და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე;

გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე;

დ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.

7. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;

გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) კონცეფცია და სამოქმედო გეგმა;

ვ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3 X 4-ზე;

ზ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;

თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.